



საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის 42-ე ჩემპიონატი პალატურით



მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩი

პარკოვი — კორნოვი 3:0 (14 ყაიმი)

მოსკოვი, 30 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). ოთხდღიანი შეჯიბრების შემდეგ, რაც ა. კარპოვის ავადმყოფობით იყო გამოწვეული, დღეს ჩაიკეთეს სახელობის საკონტრტო დარბაზში მატჩის XVII პარტია გათამაშდა. თეთრებით თამაშობდა გ. კორნოვი.

მეტოქეებმა კარგად ცნობილი კატალიონური დასაწყისი გაითამაშეს. მე-11 სვლაზე კარპოვმა თავი აარიდა ლაზერების გაცვლას, რასაც თეთრმა უწყვეტ რეკომენდაციას, და კორნოვიმ ცენტრში ინიციატივა მიიღო.

მე-16 სვლაზე კორნოვის შედგომო ხარისხის შეწირვით მეტოქის მეფე ცენტრში დაეტყველებინა და დელაბრატა. მაგრამ ეს მსხვერპლი საჭიროა იყო, ამიტომ მან პოზიციური თამაში ამჯობინა.

შემდგომ კორნოვი ზუსტად ვერ თამაშობდა. მცდარი იყო მისი 23-ე სვლა. მოგვიანებით მიმავალი გზის ძეგნაში კორნოვის თამაშმა ლოკური აზრი დაკარგა (მას 27-ე სვლაზე მძნ გამოირჩა). ხელს უშლიდა მთავრობული ცაიტნოტიც.

კარპოვმა გაითვალისწინა კორნოვის ადრეგა ცაიტნოტი და თამაშის გამართვებს შეგნებულად მოერიდა, თუმცა ამ გაბედული გადაწყვეტილებისგან შეიძლება თავად დაზარალებულიც იყოს.

30-ე სვლაზე კორნოვიმ მხედარი კუში რომ არ გაცვალა, უსაბოვნო „დაბნაში“ მოყვა. კარპოვი განსაკუთრებული სიზუსტით თამაშობდა პარტიის შემდგომ ნაწილს. მან ორი პაიე მოიგო და თეთრ მეფეზე მოუგერიებელი იერიშის საშუალება მიიღო. 42-ე სვლაზე კორნოვიმ მეტოქეს გამარჯვება მიუღო.

მატჩის ანგარიშია 3:0 (14 ყაიმი) კარპოვის სასარგებლოდ.

XVIII პარტია გაიმართება 1 ნოემბერს ჩაიკეთეს სახელობის საკონტრტო დარბაზში.

გთავაზობთ XVII პარტიას.

კორნოვი — კარპოვი

კატალიონური დასაწყისი

1. d4 f6 2. c4 e6 3. d3 d5 4. jg2 dc 5. f3 c5 6. 0-0 g6 7. la4 jd7 8. lc4 cd 9. 8id4 10. 8c3 la5 11. 8d1 je7 12. 8b3 lc7 13. 8b5 lb8 14. 8c5 a6 15. 8d7 8d5 16. 8c3 8de5 17. la4 0-0 18. jf4 la7 19. je5 8b5 20. le4 8c6 21. 8d7 jf6 22. 8d1 lb6 23. lc2 8a5 24. 8d1 d3 h6 25. a3 8c7 26. b4 8d7 27. 8d7 8c8 28. 8d3 8c4 29. 8e4 lc7 30. 8c5 8e5 31. 8d2 b6 32. f4 bc 33. fe le5 34. 8b7 8c7 35. le4 la1+ 36. 8d2 la3 37. bc 8c5 38. 8d3 la5 39. lc3 lb6 40. 8d7 8f5 41. lc4 lc2+ 42. 8f5 h3 43. კორნოვი და-ნებდა.

პასუხი რასისტებს

დელი, 29 ოქტომბერი. (საღვთის). ინდოეთის გუნდი არ ითამაშებს დღეისათვის თანამაშების — ჩოგბურთში არაოფიციალური გუნდური მსოფლიო პირველობის ფინალში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრებთან. ეს დღეს აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ოფიციალურად გამოაცხადა ინდოეთის ჩოგბურთის ასოციაციის მდივანმა რ. კხანამ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩოგბურთის ასოცია-

ცია საგნებით მხარს უჭერს ინდოეთის მთავრობის პოლიტიკას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისადმი, რომელიც აპარტეიდის პოლიტიკას ატარებს.

რ. კხანამ აღნიშნა, რომ ინდოეთის ჩოგბურთელებს შესაძლებლად არ მიაჩნიათ თამაში იმ ქვეყნის გუნდთან, რომლის მთავარი პოლიტიკური პრინციპიც რასობრივი დისკრიმინაციაა.

ჩემპიონი IV ალბილზე


ჩვენი ვიტყობინებოდით, რომ ტაშკენტში მიმდინარე საკავშირო პირველობაში შავს სამხრეთზე მეტოქეობაში ბისტოლეტის სროლაში სოსუმის დინამოელ მ. პაპაევს პირველი დღის შემდეგ 565 ქულა ჰქონდა და საბრძოლო ადგილის მოპოვების შანსს ინარჩუნებდა. მაგრამ შემდეგ, როცა მსაჯებმა შედეგები დააუსტეს, პაპაევს 563 ქულა აღმოაჩნდა. მეორე დღეს ამავე ვარჯიშის განმეორებით შესრულებისას პაპაევმა 561 ქულა მიიღო, ჯამში 1124 ქულა მოაგროვა და V ადგილზე გავიდა. ჩემპიონი გახდა ა. გერმანი (დინამოელი) — 1137 ქულა. გერმანიის მედალი ეროვნ. გ. მარგასოვს (იფეესკი) — 1135, ბრინჯაოსი — გ. კოსისს (მოსკოვი) — 1130. მსოფლიო ჩემპიონი გ. ზაპოლსკი (კრასნოიარსკი), რომელმაც მეორე დღეს 573 ქულა მოაგროვა და სსრ კავშირის რეკორდი დაამყარა, საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა — 1128.

„გაქცეულ ტაშკ“ სროლაში სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა მინსკელი

ა. კედიაოვი — 1143 ქულა. ვერტხლის ჯილდო ეროვნ. გ. მოსტოიანოვს (პეტროპოლისკი), ბრინჯაოსი — ი. ელეზნისკის (ოდესა).

სილუეტებზე მცირეგალიბრანი ბისტოლეტის სროლა მოიგო მსოფლიო ჩემპიონმა გ. ტორმინმა (მოსკოვის ოლქი) — 1788, მას ქულით ჩამორჩა მ. ზიუბოვი (ჩელიაბინსკი). III ადგილი დაიკავა 18 წლის ლეოგლმა ა. სემაკინმა — 1780 ქულა.


წოლევა მდგომარეობიდან მცირეგალიბრანი შაშხანის სროლაში გ. ვეტუშნევი (ნიკოპოლი) მეორე დღეს 600-დან ქულაც კი არ დაკარგა. მაგრამ ამით მან მხოლოდ მინსკელი გ. პარსიმოვიჩის საკავშირო რეკორდის გაუმეორება შეძლო, თუმცა ეს შედეგი ქულით სჯობს ოფიციალურ მსოფლიო მიღწევას, რომელიც 1972 წლიდან ლი ბო ჯუნს (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა) ეკუთვნის და ევროპის რეკორდზე 2 ქულით მეტია. ორი დღის ჯამში ევტუშნევი 3 ქულა დაკარგა და 1197 ქულით (1200-დან) ოქროს მედალი დაისაკუთრა.



სსრ კავშირის ჩემპიონატზე

მეფე კოვალენკის მრავალრიცხოვანი გაზეთ „კომსოვოლსაია პრავდას“ პრეზიდი (სოვი).

საკავშირო ფინალური ასპარეზობის პირველი ვარჯიში 100 მეტრზე. (კომსოვოლსაია პრავდა).



არითმული სიუჟეტის ლოგიკა

თბილისი. ლენინის სახელობის დარბაზი. 30 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — რტი (მინსკი) 92:85 (49:48).

„დინამო“-მ. ჯორჯია (გუნდს შეხსენა 29 ქულა), პულავსკი (20), ბოლქვაძე (12), ბიჭიაშვილი (12), საკაძე (10), ძიძიგური (4), ქარაბაი (4), ჩიხლაძე (1), 5. ჯორჯია.

რტი: გუზი (17), კრანცი (17), შერევერა (16), შუჟინი (14), პოპოვი (11), ბელიკოვი (10), კოვალენკი, ლაშუტო, ჟადი, რადიოვი.

მსაჯები: გ. ჩერნომაზოვი (ლენინგრადი), ე. ზიდეინი (რტი).

დუბლირები — 88:74 (48:82).

ასეთ მატჩში მუდამ ძნელია ანგარიშის წინასწარ განსაზღვრა. და, თუ მაინც დარწმუნებული ვიყავით „დინამოს“ გამარჯვებაში, მხოლოდ იმიტომ, რომ ამისი სურვილი გვქონდა. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენს სუბიექტურ პოზიციას ერთგვარად ზურგს უმაგრებდა მეტოქეთა პოტენციური შესაძლებლობანი, რაც ღინამოელთა სასარგებლოდ მტკიცებდა.

კალაბურთში მუდამ ასეთი ერთი გუნდი დაწინაურდა, მეორე ცდილობს მისი უპირატესობის გაქარწყლებას. როცა ორივე გუნდი დასალოებით თანაბარი ძალისაა, ბრძოლა ამ უპირატესობისთვის უფრო დაძაბული ხდება. მაგრამ რაღაც განონო-მიერება დაწინაურებულსა და მდევარს

შორის მუდამ არსებობს. საანგარიშო მატჩში კი ბრძოლის ლოგიკა საოცრად არითმული იყო.

პირველ ტაიმი სტუმრები 7 ქულით დაწინაურდნენ. მეფე დინამოელები გავიდნენ წინ 9 ქულით, ტაიმის მიწურულში კი მათ უტყდა, თვალსა და ხელს შუა, 6 ქულა დაკარგეს. ასეთი უთანაბრო რიტმი არამც და არამც არ იყო გამოწვეული ბრძოლის სიუჟეტით. იგი უფრო წამიერი აფეთქების და შემდეგ ასეთივე უცაბდო დეპრესიის შედეგი იყო. მოდი და ამის შემდეგ განსაზღვრე, რომელი გუნდის მორთე აფეთქებას მოუსწრებს მატჩის დამთავრების სიგნალი? ვის ექნება ამ კონკრეტულ მომენტში უკეთესი მდგომარეობა და ვის — უარესი?

მეორე ტაიმი მეტოქეებმა ფაქტიურად საწყისი პოზიციიდან დაიწყეს. მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო: „დინამოს“ უფრო მეტი მარაგი შეეძინა და აღრ თუ გვიან ეს უპირატესობა თავს იჩინდა. პერსონალური ჯარიმების სიმრავლემ რტი უნებლიეთ ფარს დააცილა. მაგრამ გუნდისთვის, რომელმაც შესანიშნავად იცის საშუალო მანძილებიდან სროლა, ეს არც ისე მძიმე სასჯელი იყო.

სხვათა შორის, შეუძინა, რომელმაც უკვე პირველივე ტაიმი 4 ჯარიმა მიიღო, ამის შემდეგ მთელი 20

(დასასრული მე-4 გვ.)

სურათზე: ბოლქვაძე უტყდა მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდის კალათს. ა. კოტორაშვილის ფოტო.

შესვენა ქურნალისტაბთან

მოსკოვში, იმ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისთვის მოწყობილ პრეს-ცენტრში, რომლებიც საბჭოთა კავშირში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური

კანცლერის გ. შმიდტის ვიზიტს აშუქებდნენ, პრეს-კონფერენცია შედგა. კორესპონდენტების წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული

ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე ზ. პავლოვი. — გადაწყვეტილებას 1980 წლის ოლიმპიური თამაშების საბჭოთა კავშირში ჩატარების შესახებ, — თქვა მან, — მხურვალედ უჭერს მხარს მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა. ჩვენ მივიღეთ ათანობით წერილი და დღეებია, რომელთა ავ-

ტორებიც სოკ-ის გადაწყვეტილებას იწონებენ. პრეს-კონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ მოსკოვის არჩევა ოლიმპიური თამაშების მასპინძლად განაპირობა მშვიდობისმოყვარულმა პოლიტიკამ, რომელსაც კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ატარებენ (საქდესი).

